

თვითმმართველი  
ორგანოების სოციალური და  
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების  
შესაბამისობა თანასწორობის  
პრინციპთან

2021

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორ(ებ)ისეულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, რომელიმე მისი წევრი სააგენტოს ან ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებს.

## სარჩევი

მეთოდოლოგია	5
ძირითადი მიგნებები	5
1. დისკრიმინაციის წამახალისებელი კრიტერიუმები/ტერმინები	7
2. სქესის ნიშნით დისკრიმინაციული პროგრამები	9
3. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამები	11
4. მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირების ხელმისაწვდომობა	17
5. ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული რეგულაციები	20
6. ქორწინების სტატუსი/რეგისტრაციის მოთხოვნა	21
7. მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის/ცხოვრების ხანგრძლივობა	23
8. დაბადების ადგილი	25
9. პროგრამის დეტალიზებული ხასიათი	25
10. დასკვნა	26
რეკომენდაციები	28

## შესავალი

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით თანასწორობის პრინციპის დაცვით სარგებლობის მნიშვნელობასა და ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე, სახალხო დამცველმა თავის რეკომენდაციებსა<sup>1</sup> და ანგარიშებში<sup>2</sup> არაერთხელ მიუთითა. სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებდა, ერთი მხრივ, ცენტრალურ დონეზე არსებული პროგრამების პრობლემურ საკითხებზე, ხოლო მეორე მხრივ, მიუთითებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში სამიზნე ჯგუფების განსაზღვრისას დისკრიმინაციული კრიტერიუმების არსებობაზე.

როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკამ აჩვენა, ხშირად, სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველია რიგი მუნიციპალიტეტების მიერ შემოთავაზებული სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები. ამ პროგრამებს განსაკუთრებული გავლენა აქვთ დაუცველი ჯგუფების ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხზე, ვინაიდან, სწორედ ისინი მოიაზრებიან ძირითად ბენეფიციარებად.

უპირველეს ყოვლისა, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის კარგ პრაქტიკასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით არაერთ პოზიტიურ გამოცდილებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული არაერთი ტრენინგისა და საინფორმაციო შეხვედრის, ასევე, სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი არაერთი ინდივიდუალური განცხადების შესწავლის საფუძველზე, გამოიკვეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ქრილში შესწავლისა და შეფასების საჭიროება.

აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები სხვა სამართლებრივი აქტით არ რეგულირდება.

მართალია, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაგეგმვისას სახელმწიფოს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნია, თუმცა, იგი ვალდებულია, სოციალური საკითხების

- 1 სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3gbNJog>;  
ასევე: საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ზოგადი წინადადება გრძელვადიანი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების მიმღებ პირთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/39w3Zxy>  
ასევე: რეკომენდაცია შესაძლებლობის შეზღუდვის სახის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3f6S4Yc>  
ასევე: რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მოქალაქეობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/30T6MNC>  
ასევე: რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მოქალაქეობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/304CrFV>  
ასევე: რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს მოქალაქეობის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3g0jINn>  
ასევე: რეკომენდაცია შეზღუდვის ფორმის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2D7c3ZE>
- 2 მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ; გვ. 28-32.  
ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3f4XWBp>

რეგულირებისას დაიცვას დისკრიმინაციის აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპი.<sup>3</sup> ეს გულისხმობს, რომ ნებისმიერი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა, მოსარგებლეთა წრის განსაზღვრისას, რომელიმე დაცული ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში არ უნდა აყენებდეს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებს.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში, სახალხო დამცველი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ 2020 წელს განხორციელებული სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონთან შესაბამისობის საკითხს მიმოიხილავს. ამ მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა თვითმმართველი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებიდან გამოითხოვა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განმსაზღვრელი 2020 წლის სამართლებრივი აქტები, რომლებიც შემდეგი მიმართულებებით შეფასდა:

- ჩანაწერი იმგვარად ხომ არ არის ფორმულირებული, რომ ახალისებდეს დისკრიმინაციას რომელიმე დაუცველი ჯგუფის მიმართ;
- ხომ არ არის გამოყენებული დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინები;
- პროგრამების მოსარგებლეთა წრე იმგვარად ხომ არ არის განსაზღვრული, რომ რომელიმე არსებითად თანასწორ ჯგუფს გამოირიცხავდეს.

## ძირითადი მიგნებები

თვითმმართველი ორგანოების მიერ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შემუშავება პროგრესული ღონისძიებაა, რომელიც, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ დახმარებას უწევს პროგრამით განსაზღვრულ მოსარგებლეთა წრეს. თუმცა, სამწუხაროდ, პროგრამებით განსაზღვრულ მოსარგებლეთა წრიდან, ხშირად, გამოირიცხებიან მსგავსი საჭიროების მქონე, არსებითად თანასწორი ჯგუფები სქესის, შეზღუდვის ტიპის, ასაკის, მოქალაქეობის, ქორწინების სტატუსის თუ სხვა საფუძვლით. ასევე, გვხვდება იმგვარად ფორმულირებული რეგულაციები თუ ტერმინები, რომლებიც ახალისებს ამა თუ იმ ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ხარვეზი, სავარაუდოდ, განპირობებულია კონკრეტული საკითხის ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით არასწორად მონესრიგებით. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ, შესაძლებლობის ფარგლებში, თვითმმართველმა ორგანოებმა თავად წარმართონ საქმიანობა თანასწორობის პრინციპის დაცვით. აღნიშნული პროგრამების შეფასების შედეგად გამოიკვეთა:

- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განმსაზღვრელ ზოგიერთ სამართლებრივ აქტში იკვეთება დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინოლოგია;
- გამოიკვეთა სქესის ნიშნით დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველი სოციალური პროგრამები, რომლებიც ეფუძნება ქალისა და მამაკაცის მიმართ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს და ახალისებს კიდევ მათ;

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

- განსაკუთრებით პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, რომლებიც ხარვეზიანია მრავალი მიმართულებით. პროგრამები არ ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალურ საჭიროებებს და ხშირ შემთხვევაში, არ არის მიმართული ამ პირთა უფლებების დაცვის სოციალური მოდელისკენ. უმეტესწილად, მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდვების მქონე პირებზე, ან კონკრეტული სახის შეზღუდვების მქონე პირთა საჭიროებებზეა მორგებული და არსებითად თანასწორი, იმავე ეკონომიკური საჭიროებების მქონე ადამიანები სარგებლის მიღმა რჩებიან. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მორგებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, ზოგჯერ, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციულ შინაარსს ატარებს. მსგავსი სერვისის ხელმისაწვდომობაზე ასაკობრივი ზღვრის დადგენა - რეაბილიტაციისა და მკურნალობის დაფინანსების შეწყვეტა კონკრეტულ ასაკს მიღწეული ბავშვებისთვის, შესაძლოა, აფერხებდეს მკურნალობის უწყვეტობას და საფრთხეს უქმნიდეს პროგრამით მიღწეული შედეგის შენარჩუნებას;
- მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირები გაუმართლებლად არიან გამორიცხულნი სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამიდან, რაც ამ ჯგუფს არ აძლევს საშუალებას, რომ იყვნენ ქართული საზოგადოების სრულყოფილი წევრები და ისარგებლონ ყველა იმ მომსახურებით, რაც მათთვის საქართველოს მოქალაქეების მსგავსად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ ადეკვატური სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირის კეთილდღეობას და ამალღებს ინდივიდის საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობის ხარისხს. აქედან გამომდინარე, როგორც ძირითადი და ბაზისური ჯანდაცვის/სოციალური პროგრამები, ასევე გარკვეული რთული კატეგორიის დაავადებათა კონტროლის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პროგრამები, ხელმისაწვდომი იყოს იმ პირთა ჯგუფისთვის, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტის ზრდაში წვლილი შეაქვს და სამართლებრივად საქართველოს მოქალაქეთა მსგავს მდგომარეობაში იმყოფება;
- პრობლემურად გამოიკვეთა ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული ჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც, მაგალითად, არ არის გათვალისწინებული ხანდაზმულ პირთა ეკონომიკური დაუცველობა და ისინი ექსპლიციტურად გამოირიცხებიან ჯანდაცვის კონკრეტული პროგრამების მოსარგებლეთა რიგებიდან, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ აისახება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე;
- აღინიშნება სხვადასხვა ფორმალური კრიტერიუმის დაწესების პრაქტიკა, რაც ხშირად, ქორწინების გარეშე შექმნილ ოჯახებს, რომელთაც ისეთივე საჭიროებები აქვთ, როგორც ქორწინებაში მყოფ პირებს, სარგებელს მიღმა ტოვებს;
- გამოიკვეთა პროგრამების დეტალიზებული ხასიათი, რაც მოუქნელს ხდის აღნიშნულ პროგრამებს, რის გამოც, რეალური საჭიროებების მქონე პირები სარგებლის მიმღებთა წრეში ვერ ექცევიან.

ამასთან, გამოკვეთილი პრობლემური საკითხების გარდა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში შემუშავებული სოციალური პროგრამა, მიზნიობრიობის გათვალისწინებით, პოზიტიურად უნდა იქნას შეფასებული, მაგალითად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში<sup>4</sup> ძალადობის

4 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №292 2019 წლის 27 დეკემბერი, ქ. თეთრიწყარო 2020 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ; მუხლი 20; პროგრამის ფარგლებში დახმარება გაენევა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე და ასევე პენიტენციური დაწესებულებიდან ახლად გამოსულ, ოჯახის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ პირს; 2. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არა უმეტეს 200 (ორასი) ლარისა.

მსხვერპლთა და პენიტენციური დაწესებულებიდან ახლად გამოსული, ოჯახის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ პირთა დახმარების პროგრამა. ამ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ დახმარების ოდენობა, შესაძლოა, არსებითად ვერ აუმჯობესებდეს აღნიშნულ პირთა მდგომარეობას, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ხედავს ამ ჯგუფის საჭიროებებს. ასევე, იმავე არგუმენტით აღსანიშნავია საგარეჯოს<sup>5</sup> მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა დახმარებას ითვალისწინებს, პროგრამის ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი, მინდობით აღზრდიდან და მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვანების გამო ამორიცხული 18-24 წლის ახალგაზრდები. ასევე, მნიშვნელოვანია აღნიშნოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში<sup>6</sup> არსებული გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიზანია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები ხედავდეს იქ მცხოვრები მოსახლეობის რეალურ საჭიროებს და სხვადასხვა დაუცველ ჯგუფს ჰქონდეს წვდომა აღნიშნულ დახმარებებზე.

## 1. დისკრიმინაციის წამახალისებელი კრიტერიუმები/ტერმინები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულია როგორც დისკრიმინაცია, ასევე, დისკრიმინაციის წახალისება ან უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ხელშეწყობა. სახალხო დამცველის მიერ 2020 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შეფასებისას, ზოგიერთ სამართლებრივ აქტში გამოიკვეთა დისკრიმინაციის წამახალისებელი კრიტერიუმების/ტერმინების გამოყენების პრაქტიკა.

- **სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მარეგულირებელი ზოგიერთი სამართლებრივი აქტი შეიცავს დისკრიმინაციის წამახალისებელ ტერმინოლოგიას**

მაგალითად, ცაგერის<sup>7</sup> მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამაში მხედველობის პრობლემის მქონე პირები მოხსენიებულნი არიან როგორც უსინათლო ინვალიდები; თეთრიწყაროს<sup>8</sup> და ახალქალაქის<sup>9</sup> მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდებს დისკრიმინაციულად მოიხსენიებს დაავადებულებად; როგორც დაავადებულები არიან

5 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №19 2019 წლის 27 დეკემბერი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

6 ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №18, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

7 ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ; მუხლი 8.

8 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №292 2019 წლის 27 დეკემბერი, ქ. თეთრიწყარო 2020 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ; მუხლი 26.

9 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29 2019 წლის 17 დეკემბერი. მუხლი 12. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737195?publication=0>

მოხსენიებულნი ასევე სამტრედიის<sup>10</sup>, გარდაბნის<sup>11</sup> და თიანეთის<sup>12</sup> მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები; ქარელის<sup>13</sup> მუნიციპალიტეტის პროგრამა კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ინვალიდებად მოიხსენიებს. ხოლო გარდაბნის<sup>14</sup> მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის ქვეპროგრამა მოსარგებლეთა წრეში, მათ შორის, ეტლს მიჯაჭვულ ადამიანებს ახსენებს. ამასთან, ფოთის<sup>15</sup>, ლენტეხის<sup>16</sup>, გორის<sup>17</sup> მუნიციპალიტეტების პროგრამებში შენარჩუნებულია ტერმინი ყრუ-მუნჯი. კასპის<sup>18</sup> და თერჯოლის<sup>19</sup> მუნიციპალიტეტები კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს კვლავ ძველი ტერმინოლოგიით - ჯგუფების მიხედვით კატეგორიზაციას ახდენენ.

სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს, რომ უმნიშვნელოვანესია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა, ტერმინოლოგიურად, სწორად იყოს აღნიშნული, რათა მათ მიმართ დამოკიდებულება განპირობებული იყოს არა თანაგრძნობით, არამედ აღიქმებოდნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. ტერმინი ინვალიდი, თავისთავად, მიუღებელია, იგი არავალიდურს, გამოუყენებელს, უსარგებლოს ნიშნავს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ამ სიტყვის გამოყენება დაუშვებელია. ანალოგიურად, დაუნის სინდრომი ან/და აუტისტური სპექტრი წარმოადგენს მდგომარეობას და არა დაავადებას. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ შესაძლებლობის შეზღუდვა არ უკავშირდება პიროვნების უნარებს, არამედ მიემართება გარემო პირობებს, რომელიც ზღუდავს ადამიანის შესაძლებლობას, ისარგებლოს ამ პირობებით, რომელიც არ არის მორგებული მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს/ადგილობრივ თვითმმართველობასა და საზოგადოების ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკანონმდებლო ბადა, რომელიც ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივად უნდა ისწრაფოდეს პირთა შორის თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებისა და სტერეოტიპებისგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ.

• **სშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტების დონეზე არსებული ჯანდაცვის პროგრამები სარგებლობიდან ექსპლიციტურად გამორიცხავს კონკრეტულ ჯგუფებს, რაც საზოგადოებისგან მათ სეგრეგაციას უწყობს ხელს**

- 10 სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2020 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ. 23/12/2019; მუხლი 16.
- 11 გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №20 2019 წლის 25 დეკემბერი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამის ქვეპროგრამების დამტკიცების შესახებ; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4748139?publication=3>
- 12 თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №50 2018 წლის 24 აგვისტო, თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ; მუხლი 6.
- 13 ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14 2019 წლის 29 ნოემბერი, ქარელის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
- 14 გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №20 2019 წლის 25 დეკემბერი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამის ქვეპროგრამების დამტკიცების შესახებ; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749012?publication=0>
- 15 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29/31; 2019 წლის 25 დეკემბერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
- 16 ლენტეხის მუნიციპალიტეტის დადგენილება №1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. 31/01/2020 ; მუხლი 11.
- 17 გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №51; 2019 წლის 13 დეკემბერი. მუხლი 18. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4734943?publication=1>
- 18 კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №26; 2019 წლის 20 დეკემბერი, კასპის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 18.
- 19 „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.



მაგალითად, ახალქალაქის<sup>20</sup> მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ ფინანსდება ნარკოტიკული ზემოქმედებით გამოწვეული სამედიცინო მომსახურება; მსგავსი მიდგომა განვითარებული სხვა მუნიციპალიტეტშიც, მაგალითად, ვანის<sup>21</sup> მუნიციპალიტეტის სამედიცინო დახმარების პროგრამით არ ფინანსდება, მათ შორის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობა;<sup>22</sup> ამავე წესს ითვალისწინებს ადიგენის<sup>23</sup> მუნიციპალიტეტის სამედიცინო დახმარების პროგრამა. ამასთან, მაგალითად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამედიცინო პროგრამა გამორიცხავს, მათ შორის, ვენერიული დაავადებებით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებას.

სახალხო დამცველის შეფასებით, ჯანდაცვის პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს არა დაავადების წარმოშობის წყაროზე, არამედ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და არსებულ ინდივიდუალურ საჭიროებებზე. მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის დაფინანსება, შესაძლოა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს ადამიანებისთვის, რომლებიც, ამავე დროს, არსებითად თანასწორ მდგომარეობაში არიან ამ პროგრამით მოსარგებლე სხვა ბენეფიციარებთან მიმართებით. ამასთან, ხსენებული წესი ახალისებს დისკრიმინაციას და ხელს უწყობს ნარკომომხმარებელთა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მქონე პირთა მიმართ საზოგადოებაში არსებული უარყოფითი სტერეოტიპული მიდგომების გაძლიერებას.

## 2. სქესის ნიშნით დისკრიმინაციული პროგრამები

საქართველოში გენდერული თანასწორობა როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ, ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. აღნიშნულის საფუძველი მეტწილად სქესზე დაფუძნებული სტერეოტიპები, გენდერული როლების შესახებ არასწორი აღქმები და მათთან დაკავშირებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სტიგმაა.

- **ზოგიერთი პროგრამის თანახმად, სოციალური სარგებლის მიღების პროცესში რეგულაციები სქესის ნიშნით დისკრიმინაციულია**

მაგალითად, ამბროლაურის<sup>24</sup> მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ პირზე/ ოჯახზე, სადაც არ ცხოვრობს შრომისუნარიანი მამაკაცი და ოჯახს, ზამთრის სეზონისათვის საშუალო მერქნის შესაძენად ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია, გაიცემა საშუალო მერქანი.

20 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29; 2019 წლის 17 დეკემბერი; მუხლი 5. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737195?publication=0>

21 ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №30 - ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ; 2019 წლის 25 დეკემბერი; მუხლი 10.

22 იგივე წესი მოქმედებს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებითაც - №26, 2019 წლის 30 დეკემბერი. აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 6.

23 ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №19; 2019 წლის 7 მაისი; ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა; მუხლი 2.

24 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №32 2019 წლის 25 დეკემბერი; „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 14; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749012?publication=0>

მოცემულ შემთხვევაში, ოჯახში შრომისუნარიანი მამაკაცის არსებობასთან სარგებლის მიღების დაკავშირება, სქესის ნიშნით დისკრიმინაცია, ვინაიდან, შესაძლოა, ოჯახში ცხოვრებდეს შრომისუნარიანი მამაკაცი, თუმცა მისი საჭიროებები ისეთივე იყოს, როგორც სხვა ოჯახებში, რომლებიც აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები არიან. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოება იბრძვის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის დასაძლევად, საზოგადოებაში გამჭადარი სტერეოტიპების შემცველი კრიტერიუმების დაწესება ამ პროცესისთვის შემაფერხებელი ფაქტორია. ამასთან, გამოყენებული კრიტერიუმის შინაარსი ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს და *a priori* გულისხმობს ერთი რომელიმე პირის დომინირებას ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობის კუთხით.

• **ზოგიერთი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა, სარგებლის მიღებისგან დაუსაბუთებლად გამოორიცხავს ერთ-ერთ მშობელს და სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ მიდგომას ავითარებს**

მაგალითად, თელავის<sup>25</sup> მუნიციპალიტეტში ახალშობილ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამით სარგებლობისთვის, სავალდებულოა, რომ ბავშვის მამა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იყოს რეგისტრირებული; ნალენჯიხის<sup>26</sup> მუნიციპალიტეტში პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლად შობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას; ნალკის<sup>27</sup> მუნიციპალიტეტში მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით სარგებლობენ მრავალშვილიანი დედები და არაფერია ნათქვამი მრავალშვილიან მამებზე; ახალციხის<sup>28</sup> მუნიციპალიტეტში კი, შეჭირვებული მოსახლეობისთვის გათვალისწინებულია სოციალური დახმარება მართხელა დედებისთვის და ყურადღების მიღმა ტოვებს მართხელა მამებს.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ოჯახის, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედის მთავარი მახასიათებელია თანასწორობა და პირთა თანაბარი მონაწილეობა შინამეურნეობის საქმიანობაში. მრავალშვილიანი მამები და მრავალშვილიანი დედები არსებითად თანასწორი პირები არიან და გაუმართლებელია სოციალური პროგრამებით დაწესებული განსხვავებული მოპყრობა. ვინაიდან ერთი და იმავე საჭიროებების წინაშე დგანან როგორც ბავშვის აღზრდის, ისე დახმარების მიღების პროცესში, ორივე მშობელს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეს. ბავშვის მამის რეგისტრაციის ფაქტზე დახმარების მიღების შესაძლებლობის მიბმა, ასევე არათანაბარ მიდგომარეობაში აყენებს მშობლებს და ეწინააღმდეგება ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას. აღნიშნული რეგულაცია ეფუძნება საზოგადოებაში ქალის შესახებ არსებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს, რომ ქალი მამაკაცის თანასწორად არ არის ოჯახში დოვლათის შემომტანი, რაც, თავის მხრივ, სქესის საფუძველზე ნეგატიური სტერეოტიპების წამახალისებელია.

25 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №71, 2018 წლის 28 დეკემბერი, თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ.

26 ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №27, 2019 წლის 26 დეკემბერი, ქ. ნალენჯიხა. ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4750231?publication=2>

27 ნალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №1, 2020 წლის 6 თებერვალი, 2020 წელს ნალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.

28 ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №22, 2019 წლის 26 დეკემბერი, ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

### 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამები

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, შეზღუდული შესაძლებლობის მოძველებული სამედიცინო მოდელიდან, რომელიც განიხილავს ფუნქციურ შეზღუდვებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე შედეგს, სოციალურ მოდელზე გადასვლის ვალდებულებას აწესებს. კონვენციის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობა განიხილება, როგორც ურთიერთქმედება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ დაბრკოლებებს შორის.<sup>29</sup> შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიერ დამტკიცებულ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან ერთად, უზრუნველყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განიხილებოდნენ, „როგორც ადამიანები, რომლებსაც აქვთ უფლებები, მინიჭებული ადამიანის ყველა უფლებისა და ფუნდამენტური თავისუფლების განსახორციელებლად სხვებთან თანაბარ პირობებში, რაც მოიცავს საჭიროების შემთხვევაში მატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფას“.<sup>30</sup> კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფო აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას სოციალურ დაცვაზე.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განმარტებულია, როგორც პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. მაშასადამე, შეზღუდული შესაძლებლობის განსაზღვრისას გადამწყვეტია ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევების არა მხოლოდ არსებობა, არამედ, საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა დაბრკოლებასთან მათი ურთიერთქმედება, რომლის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესაბამისი სოციალური საჭიროებები და განხორციელდეს მათი, ამ საჭიროებების ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფა. სწორედ ამგვარი მიდგომა შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სოციალურ მოდელს, რომლის თანახმად, **შეზღუდული შესაძლებლობა წარმოადგენს არა იმდენად სამედიცინო, არამედ, სოციალურად განპირობებულ გამოწვევას, რასაც პასუხი, სათანადო სოციალური პოლიტიკისა და ერთგვარი პოზიტიური ღონისძიებების გატარების მეშვეობით უნდა გაეცეს.**<sup>31</sup>

- **ზოგიერთი სოციალური/ჯანდაცვის პროგრამა არ განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს ინდივიდუალურ საფუძველზე. ხშირ შემთხვევაში, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ბენეფიციარები მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან**

29 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები: e.აღიარებენ რა, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არის დინამიური ცნება და წარმოადგენს ჯანმრთელობის დარღვევის მქონე პირებს, მათ მიმართ დამოკიდებულებისა და გარემო ბარიერების ურთიერთქმედების შედეგს, რაც აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ თანაბარ, სრულყოფილ და ეფექტურ მონაწილეობას.

30 ანდრეა ბროდერიკი, „გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა, 2017; გვ.16.

31 Towards a Common Language for Functioning, Disability and Health ICF. World Health Organization. Geneva 2002. P. 9.

მაგალითად, ახალქალაქის<sup>32</sup> მუნიციპალიტეტში ერთჯერად ფულად სოციალურ დახმარებას მიიღებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს, ფაქტობრივად მცხოვრები მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ყურადღების მიღმა ტოვებს სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

ბათუმში<sup>33</sup> კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება და სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისთვის. აღნიშნულის მსგავსად, ჭიათურის<sup>34</sup> და თელავის<sup>35</sup> მუნიციპალიტეტში მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფინანსდებათ კომუნალური გადასახადები.

თერჯოლის<sup>36</sup> მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა. მსგავს დახმარებას მუნიციპალიტეტი ვერ სთავაზობს სხვა შეზღუდულების მქონე პირებს.

ლაგოდეხის<sup>37</sup> მუნიციპალიტეტშიც მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ერთჯერადი დაფინანსებაა გათვალისწინებული და ყურადღების მიღმა ტოვებს სხვა შეზღუდულების მქონე პირებს.

კასპის<sup>38</sup> მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება. ერთჯერადი დახმარება გაენევათ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის, 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ასევე, ცალკეა განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამხმარე საშუალების (ეტლის) საფასურის 50%-იანი დაფინანსება.

სახელმწიფო ვალდებულია, რომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი, ადეკვატური, მისაღები და ადაპტირებული სოციალური დაცვის პროგრამები.

32 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29, 2019 წლის 17 დეკემბერი. მუხლი 12. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737195?publication=0>

33 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №35, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. 2019 წლის 25 დეკემბერი; (პროგრამული კოდი 06 02 01), მუხლი 6.2.1. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749146?publication=1>

34 ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №18, 2018 წლის 26 იანვარი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

35 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №71, 2018 წლის 28 დეკემბერი, თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ.

36 „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

37 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №26, 2019 წლის 27 დეკემბერი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2020 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4755635?publication=0>

38 კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №26; 2019 წლის 20 დეკემბერი; კასპის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 18.

ეს პროგრამები მათი საჭიროებების შესაბამისად უნდა შემუშავდეს და უნდა უზრუნველყოფდეს ადეკვატური რაოდენობისა და ხანგრძლივობის ბენეფიტებს, რათა ისინი სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო სტანდარტით.<sup>39</sup> თანასწორი მოპყრობა გარანტირებული უნდა იყოს სხვადასხვა დაუცველი ჯგუფისათვის.<sup>40</sup> დისკრიმინაციას ადგილი აქვს, თუკი სახელმწიფო დროულ და ეფექტიან ნაბიჯებს ვერ დგამს იმისათვის, რათა უფლებებითა და დაუცველი ჯგუფისათვის პრივილეგიებით სარგებლობა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი გახადოს.<sup>41</sup> ეკონომიკური და სოციალური უფლებების პროგრესულად რეალიზებადი ბუნება არ გულისხმობს, რომ გარკვეული ჯგუფები მუდმივად გამოირიცხონ ამ უფლებებით ეფექტიანად სარგებლობისგან, ამდენად, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაიცვას სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად.<sup>42</sup> სამწუხაროდ, არსებული სოციალური პროგრამებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების ინდივიდუალურ საფუძველზე გათვალისწინებლობა ეწინააღმდეგება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ სოციალურ მოდელს.

• **ხშირ შემთხვევაში, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ბენეფიციარები მხოლოდ კონკრეტული შეზღუდვების მქონე პირები არიან**

მაგალითად, გორის<sup>43</sup> მუნიციპალიტეტში მხოლოდ მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებულ (ყრუ ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარებაა გათვალისწინებული.

სამტრედიის<sup>44</sup> მუნიციპალიტეტში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაენწავთ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო, სმენადაქვეითებულ მოქალაქეებს; ასევე, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაენწავთ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 18 წლამდე, ლეიკემიით, ცერებრული დამბლით და დაუნის სინდრომის მქონე პირებს, 18 წლის ზემოთ.

ახალციხის<sup>45</sup> მუნიციპალიტეტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დახმარებას მიიღებენ ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები: ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ბ) მხედველობით მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

39 Committee on the Rights of Persons with Disabilities, Inquiry concerning the UK carried out by the Committee under article 6 of the Optional Protocol of the Convention, CRPD/C/15/R.2/Rev.1, 6/10/2016, §33.

40 ECSC, European Social Charter, Conclusions 2015, გვ. 57, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680593904>

41 ECSC, ERRC v. Bulgaria, no. 31/2005, 18/10/2006, §40; Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy, no. 58/2009, 6/07/2010, §35.

42 Bantekas, Ilias & Oette, Lutz. International human rights law and practice, 2nd ed, Cambridge University Press 2016, გვ. 409.

43 გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №51; 2019 წლის 13 დეკემბერი. მუხლი 18. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4734943?publication=1>

44 სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2020 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ. 23/12/2019, მუხლი 16.

45 ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №22 2019 წლის 26 დეკემბერი; ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ; მუხლი 19.

ხონის<sup>46</sup> მუნიციპალიტეტში არსებობს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლის ასაკის ზემოთ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობის მქონე, ცერებრული დამბლით, დაუნის სინდრომის მქონე პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა. ასევე, ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასმენი აპარატის ნაწილების (სადენის, კვების წყაროს და საშრობი ტაბლეტის) დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამა; თუმცა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ყურადღების მიღმა ტოვებს.

ფოთის<sup>47</sup> მუნიციპალიტეტში მოქმედებს ქვეპროგრამა უსინათლოებისა და ყრუთა მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად. ცალკე არსებობს ქვეპროგრამა უსინათლოებისთვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შესაძენად და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამაც, თუმცა 18 წელს ზევით სხვა შეზღუდვების მქონე პირები არათანასწორ მდგომარეობაში არიან.

მაგალითად, ზუგდიდის<sup>48</sup> მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამა მოიცავს დახმარებას 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვებისთვის; მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ერთჯერად ფულად დახმარებას ან სარეაბილიტაციო მკურნალობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრში; სმენა და მხედველობადაქვეითებული პირებისთვის ერთჯერად ფულად დახმარებას ან თეთრი ხელჯობის პროგრამით სარგებლობას; ფულად ერთჯერად დახმარებას მძიმე ონკოლოგიური დაავადების მქონე მოქალაქეებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ქიმიო, სხივური, ტარგენტული, რადიო ან სხვა სახის ძვირადღირებული თერაპიის კურსს. თუმცა ყურადღების მიღმა ტოვებს სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.<sup>49</sup>

ქ. თბილისის<sup>50</sup> მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების და „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამები. თუმცა, ყურადღების მიღმა რჩებიან სოციალურად დაუცველი 18+ ასაკის სხვა შეზღუდვების მქონე პირები.

შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დახმარების მიმღებთა სამიზნე ჯგუფად გამოყოფა, ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, თავისთავად დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში პრიორიტეტული ჯგუფის გამოყოფა თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებს შორის, რომელთაც მეტ-ნაკლებად მსგავსი საჭიროებები აქვთ, მუნიციპალიტეტის

46 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29/31; 2019 წლის 25 დეკემბერი; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

47 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29/31; 2019 წლის 25 დეკემბერი; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

48 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №4 2020 წლის 24 იანვარი ქ. ზუგდიდი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ; მუხლი 6.

49 ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მომვლელის საჭიროების ქვეპროგრამით ისარგებლებენ ის ოჯახები, რომელთა წევრი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე) ან სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), რომელთაც ჰყავთ მუდმივი ზრუნვის საჭიროების მქონე მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე ავადმყოფი. ოჯახის შემადგენლობა განისაზღვრება ავადმყოფის გარდა მხოლოდ 1 ან 2(სრულწლოვანი) წევრით, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებული ავადმყოფის მოვლით და ამ მიზეზით ვერ საქმდებიან.

50 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №52-9, 2020 წლის 24 იანვარი; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“; სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 22) და „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამების განხორციელების წესი.

მიერ ფინანსური სახსრების ნაკლებობით ვერ გამართლდება. სამიზნე ჯგუფების განსაზღვრისას, ფრთხილად უნდა შეირჩინენ ბენეფიციარები და შეფასდეს მიღებული გადაწყვეტილების გავლენა იმ ჯგუფზე, რომელიც პროგრამის მიღმა რჩება. ამისთვის აუცილებელია, რომ ბენეფიციართა შერჩევის მეთოდები იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და არ გამოიწვიოს გარკვეული დაუცველი ჯგუფის/ჯგუფის ნაწილის სევრეგაცია.<sup>51</sup>

მაშასადამე, სახალხო დამცველის შეფასებით, ფინანსური რესურსების ნაკლებობა ვერ გაამართლებს თანაბარ მდგომარეობაში მყოფ დაუცველ პირთა ჯგუფში პრიორიტეტების გამოყოფას და განსხვავებულ მოპყრობას. სამედიცინო თუ სოციალური პროგრამების საფუძველზე გარკვეული ბენეფიტების მინიჭების საჭიროება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს. კონკრეტული სახის შეზღუდული შესაძლებლობის ინდიკატორად გამოყენება, ვერ იქნება გამართლებული, ვინაიდან, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სოციალური ბენეფიტებით სარგებლობა ყველა იმ პირისათვის, ვისაც ისეთივე სტატუსი და საჭიროებები აქვს, როგორც პრიორიტეტით გამოყოფილ კატეგორიას.

- **ზოგიერთი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა შეიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასაკის ნიშნით დისკრიმინაციულ რეგულაციებს**

მაგალითად, ბათუმში<sup>52</sup> არსებული ჯანდაცვის პროგრამა, 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, ასევე, ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარებას ითვალისწინებს.

ხონის<sup>53</sup> მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია 15 წლამდე ასაკის ცერებრული დამბლის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი სეზონური საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა (ბინის ქირით უზრუნველყოფა).

ოზურგეთის<sup>54</sup> მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთა ასაკი 6-დან 18 წლამდეა და რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა - 0-დან 150001-მდე, შესაძლებლობა ეძლევათ, მიიღონ დახმარება (საჭიროების შემთხვევაში) ჰიგიენური საშუალებების შესაძენად; ასევე, ოზურგეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს (7-18 წლამდე, გამონაკლის შემთხვევაში 0-დან 7 წლამდე), რომლებიც ჩართულნი არიან ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში, უფლება აქვთ მიიღონ ყოველთვიური დახმარება (საჭიროების შემთხვევაში - ყოველთვიურად წლის განმავლობაში) მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

51 Sepulveda, Magdalena & Nyst, Carly, The Human Rights Approach to Social Protection, 2012, გვ. 39, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ohchr.org/Documents/Issues/EPoverty/HumanRightsApproachToSocialProtection.pdf>

52 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №35 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. 2019 წლის 25 დეკემბერი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749146?publication=1>

53 ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №88 2019 წლის 7 მარტი „ქ. ხონის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ.

54 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №1 2020 წლის 15 იანვარი; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 8.

გურჯაანის<sup>55</sup> მუნიციპალიტეტში 0-7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების ქვეპროგრამა. საგარეჯოს<sup>56</sup> მუნიციპალიტეტში კი, მერიის მხრიდან მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურებაზე დაფინანსებას მიიღებენ 6 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სოციალურად დაუცველი პირები 18 წლის ასაკამდე, რომელთაც მინიჭებული აქვთ 100 001-მდე სარეიტინგო ქულა.

სახალხო დამცველის შეფასებით, მსგავსი სერვისის ხელმისაწვდომობაზე ასაკობრივი ზღვრის დადგენა - რეაბილიტაციისა და მკურნალობის დაფინანსების შეწყვეტა კონკრეტულ ასაკს მიღწეული ბავშვებისთვის, შესაძლოა, აფერხებდეს მკურნალობის უწყვეტობას და საფრთხეს უქმნიდეს პროგრამით მიღწეული შედეგის შენარჩუნებას. ამასთან, როგორც აღინიშნა, ოზურგეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს (7-18 წლამდე, გამონაკლის შემთხვევაში, 0-დან 7 წლამდე), რომლებიც ჩართულნი არიან ფსიქო სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში, უფლება აქვთ მიიღონ ყოველთვიური დახმარება. სახალხო დამცველისთვის გაუგებარია, 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები რატომ არიან გამონაკლისის წესით განსაზღვრულნი პროგრამის ბენეფიციარებად და არა საერთო წესის მიხედვით.

**• ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამა დაუსაბუთებლად ამახვილებს ყურადღებას შეზღუდული შესაძლებლობის წარმოშობის დროზე**

მაგალითად, რუსთავში<sup>57</sup> არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო, და დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) პირთათვის კომუნალურ გადასახადებზე შეღავათის დაწესება. ლენტეხის<sup>58</sup> მუნიციპალიტეტში კი, დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება მიეცემათ ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ასწავლებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და დაავადებულნი არიან კონკრეტული დაავადებებით (ცერებრული დაბლა, დაუნის სინდრომი, ლეიკემია, ყრუ, შაქრიანი დიაბეტი I ტიპი; ცელიაკია).

ამ კუთხით, კიდევ ერთხელ ვლინდება, რომ მხარდაჭერა მიემართება დაავადებებს და არა გარემოში არსებულ ბარიერებს, როგორც ამას გაეროს კონვენცია მოითხოვს. თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისათვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.<sup>59</sup> დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს - არსებითად თანასწორებს მოეპყრას თანასწორად და პირიქით.<sup>60</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, მოცემულ შემთხვე-

55 გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №25 2020 წლის 20 იანვარი; გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მინიმალური სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ; მუხლი 9.  
56 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №19 2019 წლის 27 დეკემბერი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ; მუხლი 24.  
57 დადგენილება №163 ; 24.12.2019 წ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 10) განხორციელების წესი.  
58 ლენტეხის მუნიციპალიტეტის დადგენილება №1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.31/01/2020, მუხლი 11.  
59 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, II, 1.  
60 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, II, 4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539, II, 4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534, II, 5.



ვაში, პრობლემურია სოციალური დახმარების გაცემა არა თავად ინდივიდუალური საჭიროების ანალიზის, არამედ, ამ საჭიროების წარმოშობის დროის მიხედვით.

- **ზოგიერთი სოციალური პროგრამა, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციებში მუშაობის პერიოდში დაშავებულ საწარმოო ტრავმის მიღების შემთხვევაში, მხოლოდ მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე გაცემს ფულად დახმარებას**

მაგალითად, თელავის<sup>61</sup> მუნიციპალიტეტში საწარმოო ტრავმის შედეგად დაშავებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამის თანახმად, მოქალაქეებზე, რომლებიც თელავის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციებში მუშაობის პერიოდში დაშავდნენ საწარმოო ტრავმით, და მიეკუთვნებიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კატეგორიას, ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება იმ ოდენობით, რასაც ითვალისწინებდა დაშავებულის თანამდებობრივი სარგო, რომელსაც უნდა გამოაკლდეს ფულადი დახმარების გაცემის დროისთვის არსებული ასაკობრივი პენსია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.<sup>62</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დახმარების გაცემა დაუსაბუთებელია და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საწარმოო ტრავმის შედეგად განვითარებული სხვა შეზღუდვების მქონე პირებს. ვინაიდან, შესაძლოა, მაგალითად, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვების მქონე პირებმა, პროფესიიდან გამომდინარე, მიღებული დაზიანების გამო ვეღარ გააგრძელონ საქმიანობა.

## 4. მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირების ხელმისაწვდომობა

საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოში ყველა უცხოელი თანასწორია კანონის წინაშე, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად. ხოლო ამავე კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელს აქვს დახმარების, პენსიისა და სხვაგვარი სოციალური უზრუნველყოფის ისეთივე უფლება, როგორც – საქართველოს მოქალაქეს.

61 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №71, 2018 წლის დეკემბერი 28. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ.

62 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534, II, 3.

• **ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირების მხრიდან ამ პროგრამებით სარგებლობას გამოიწვევს**

მაგალითად, ახალქალაქის<sup>63</sup> მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის მარეგულირებელი დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სოციალური დახმარების პროგრამების სახეებს, ბენეფიციართა კატეგორიებს, გასაცემი დახმარების ოდენობასა და პროგრამაში ჩასართავად საჭირო დოკუმენტაციას. ამ დოკუმენტის მე-2 მუხლის თანახმად, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, რაც თავის მხრივ, ყურადღების მიღმა ტოვებს ბინადრობის მოწმობის მქონე პირებს.<sup>64</sup> ასევე, ახმეტის<sup>65</sup> მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტია პირადობის მოწმობა.

მაგალითად, მარნეულის<sup>66</sup> მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის წესით, რომლის მიზანია ბენეფიციართა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებებში ჩართვა, მოსარგებლე პირებად განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე. ბენეფიციარმა მარნეულის მუნიციპალიტეტს უნდა წარუდგინოს საქართველოს მოქალაქეობისა ან/და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, რაც, თავის მხრივ, მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირებს გამოიწვევს სარგებლობის მიღებიდან.

ასევე, ქ. თბილისის<sup>67</sup> მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის მოსარგებლეებად განსაზღვრულნი არიან მხოლოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ბენეფიციარები ვალდებული არიან, წარადგინონ საქართველოს მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

თბილისში ასევე მოქმედებს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. აღნიშნული ქვეპროგრამის მიღმა რჩებიან მუდმივი ბინადრობის<sup>68</sup> მოწმობის მქონე პირები, რომელთაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ.

63 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29 2019 წლის 17 დეკემბერი.; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737195?publication=0>

64 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737195?publication=0>

65 ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №19; 2019 წლის 7 მაისი; ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა.

66 მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №53. 24 დეკემბერი 2019 წ. მარნეულის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის წესის დამტკიცების შესახებ.

67 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №4-14; 2015 წლის 2 მარტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე.

68 „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე, მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი;

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა მიერ სოციალური პროგრამებით სარგებლობაზე უარის ლეგიტიმურობა რამდენჯერმე ეჭვქვეშ დააყენა და დაადგინა თანასწორობის უფლების დარღვევა.<sup>69</sup> საქმეში, „გეიგუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Gaygusuz v .Austria), თურქეთის მოქალაქეს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა ავსტრიაში, უარი ეთქვა გადაუდებელი ფულადი დახმარების გაცემაზე იმ მიზეზით, რომ მსგავსი დახმარება მხოლოდ ავსტრიის მოქალაქეებისთვის იყო განსაზღვრული. სოციალური ბენეფიტებით სარგებლობისას განსხვავებულ მიდგომაზე საუბრისას, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, მოქალაქეთა თანასწორად იხდის კანონით დადგენილ გადასახადებს და თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების კეთილდღეობაში.<sup>70</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ მოქალაქეობაზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობის გამართლება მხოლოდ ძალიან სერიოზული მიზეზებით არის შესაძლებელი.<sup>71</sup>

მსგავსი მიდგომა აქვს განვითარებული ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოსაც. ერთ-ერთ საქმეში, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოქალაქეობაზე დაფუძნებული განსხვავება კრიტიკულ შესწავლას საჭიროებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ინტერესი, მოუფრთხილდეს და მწირი სოციალური ბენეფიტები საკუთარ მოქალაქეებზე გადაანაწილოს, არ არის უდავო არგუმენტი და საკმარისი მოქალაქეობაზე დაფუძნებული განსხვავებისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსხვავებული მოპყრობა უცხოელების მიმართ, დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია, მაშინ როდესაც ბინადრობის ნებართვის მქონე პირები მოქალაქეთა მსგავსად, იხდიან გადასახადებს და ქვეყანაში მოკლე ვადით მყოფი ვიზიტორებისაგან განსხვავებით, მათ შეიძლება მრავალი წელი იცხოვრონ ქვეყანაში, იმუშაონ და ხელი შეუწყონ სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას.<sup>72</sup>

სახალხო დამცველის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს გააჩნია ფართო მიხედულების ფარგლები ქვეყნის სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური სტაბილურობისათვის ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისას, ფარგლები ვიწროვდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიდგომა გაუმართლებლად ახდენს არსებითად თანასწორ ჯგუფებს შორის დიფერენცირებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებსა და საქართველოს მოქალაქეებს მსგავსი საგადასახადო ვალდებულებები აქვთ სახელმწიფოს წინაშე. შესაბამისად, ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამა თანასწორად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ პირებისათვის.

აქედან გამომდინარე, პირადობის მონმობის ან/და საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების მოთხოვნა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობისთვის, დაუსაბუთებელია, ვინაიდან ეს წესი მუდმივი ბინადრობის მონმობის მქონე პირებს გამორიცხავს სარგებლის მიღებიდან. ამასთანავე, გარკვეული პროგრამების შეთავაზება ბინადრობის მონმობის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა საფუძვლით მუდმივი ბინადრობის მონმობის მქონე პირებს, რომელთაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ.

69 ECtHR, Koua Poirrez v France, App. No. 40892/98, 30/09/2003, §541, 49.

70 ECtHR, Gaygusuz v .Austria, App. no. 17371/90, 16/09/1996, §42.

71 Fawsie v. Greece, App. No.: 40080/07, 28.10.2010, § 35; Gaygusuz v. Austria, App. No.:17371/90, 16/09/1996, § 42;

72 US Supreme Court, Graham v Department of Pub. Welfare, 403 U.S. 365 (1971), II, 334 U.S. at 334 U. S. 420.

## 5. ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული რეგულაციები

ასაკის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა, შესაძლოა, რაციონალურ ფაქტორებსაც ემყარებოდეს და სოციალურ, ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდეს. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ ასეთი მიდგომა განზოგადებულ დასკვნებს და სტერეოტიპებს ეფუძნებოდეს. ასაკთან დაკავშირებული სტერეოტიპების მსხვერპლი, შესაძლოა, გახდნენ როგორც ახალგაზრდები, ისე ხანდაზმული ადამიანები<sup>73</sup>

- **ზოგიერთი სოციალური პროგრამა ხანდაზმულ პირებს გამორიცხავს დახმარების მიმღებ ბენეფიციართა წრიდან**

მაგალითად, ქალაქ თბილისის<sup>74</sup> მუნიციპალიტეტში მოქმედებს დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამა.<sup>75</sup> ქვეპროგრამის საფუძველზე პროსტატის კიბოს სკრინინგის კომპონენტის მოსარგებლებები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად ქალაქი თბილისი უნერიათ და ითვალისწინებს 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევას.<sup>76</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი განმარტების თანახმად, საქართველოში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები შემუშავებულია შესაბამისი დარგის ექსპერტებთან კოორდინაციით და პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სკრინინგის ასაკიც და ჯერადობაც განსაზღვრულია საერთაშორისო რეკომენდაციების, გაიდლაინებისა და პროტოკოლების შესაბამისად, რომელთა მიხედვითაც, ასაკობრივი დიაპაზონი (50-70 წელი) დადგენილია იმ პრინციპით, რომ ამ ასაკში ყველაზე მაღალია კიბოს განვითარების რისკი და ასევე, შედეგიანია მკურნალობა, შესაბამისი გამოსავლით. ამასთან, მნიშვნელოვანია დაავადების ადრეული გამოვლენა, შესაბამისად, აუცილებელია, დროულად იქნას ჩატარებული პირველადი სკრინინგის დროულად ჩატარება, რის შემდეგაც შესაბამისი სპეციალისტები, პროგრესირებადი დაზიანების გამოვლენის გათვალისწინებით და პაციენტის ასაკის შესაბამისად, დაგეგმავენ შემდეგ კვლევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმ პირებს, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველ კატეგორიას განეკუთვნებიან, სახელმწიფომ უნდა შეუქმნას პირობები, რათა მათ შეძლონ პირადი ცხოვრების უფლებით ადეკვატური სარგებლობა.<sup>77</sup> სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროში შეფასების ფართო ფარგლები გააჩნია,<sup>78</sup> თუმცა,

73 European Commission, age discrimination and European law - Employment & social affairs, Fundamental rights and anti-discrimination; 2005, p.g. 12.

74 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №52-10 2020 წლის 24 იანვარი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ.

75 აღნიშნული ქვეპროგრამა ასევე მოიცავს: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში; კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისათვის; ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით, განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით, შესაბამისი რისკის მქონე ქალებში.

76 სისხლში საერთო პროსტატის კიბოს სპეციფიკური ანტიგენის (PSA) განსაზღვრა; საერთო პროსტატის კიბოს სპეციფიკური ანტიგენის მაჩვენებლის ე.წ. რუხ ზონაში გამოვლენის შემთხვევაში, შრატში თავისუფალი PSA-სა და მათი თანაფარდობის განსაზღვრა.

77 ECtHR, Winterstein and Others v France, no. 27013/17, 17/10/2013, §148; Chapman v. United Kingdom, no. 27238/95, 18/01/2001, §99.

78 ECtHR, James and Others v. United Kingdom, no. 8793/79, 21/02/1986, §46; Mellacher and others v. Austria, nos. 10522/83; 11011/84; 11070/84, 19/12/1989, B, §45.

ამის მიუხედავად, მან უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ინტერესებს შორის<sup>79</sup> და მისი პოლიტიკა არ უნდა იყოს აშკარად დაუსაბუთებელი.<sup>80</sup> ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მიხედულების ფარგლები ვიწროვდება, როდესაც სასწორზე დადებული კონკრეტული უფლება უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რათა ინდივიდმა ეფექტიანად ისარგებლოს ფუნდამენტური უფლებებით.<sup>81</sup>

სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განმარტების მიუხედავად, რომ 50-70 წლის ასაკში დაავადების გამოვლენა და შემდგომი მკურნალობა უფრო ეფექტიანია, 70 წელს ზემოთ ასაკის ადამიანები, რომელთა ეკონომიკური დაუცველობის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია და ამავე დროს, აღნიშნული დაავადების რისკიც მაღალია, და მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე პირდაპირ აისახება, მათი გამორიცხვა ბენეფიციართა რიგებიდან დაუსაბუთებელია.

• **სტუდენტების მატერიალური დახმარების ზოგიერთი პროგრამა ასაკის ნიშნით დისკრიმინაციულია**

მაგალითად, გარდაბნის<sup>82</sup> მუნიციპალიტეტის სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედამამით ობოლი 22 წლამდე, მრავალშვილიანი ოჯახებიდან და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სტუდენტების მატერიალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით, რომლის დახმარებასაც აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს, სტუდენტებისთვის მატერიალური მხარდაჭერის მისაღებად ასაკობრივი ცენზის დანესება დაუსაბუთებელია. ხოლო, შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია და მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, თანასწორობის უფლება კრძალავს თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.<sup>83</sup>

## 6. ქორწინების სტატუსი/რეგისტრაციის მოთხოვნა

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებული სოციალური პროგრამების ნაწილი ოჯახის სტატუსის ნიშნით დისკრიმინაციულ ჩანაწერებს შეიცავს

79 Case "Relating to Certain Asepects of the Laws on the Use of Languages in Eudication in Belgium" v. Belgium, nos. 1474/62; 1677/62; 1691/62; 1769/63; 1994/63; 2126/64, 23/07/1968, III, §7, გვ.40, Rees v. United Kingdom, no. 2/1985/88/135, 25/09/1986, §37.

80 ECtHR, Barrow v. United Kingdom, no. 42735/02, 22/11/2006, §35.

81 ECtHR, Connors v. United Kingdom, no. 66746/01, 27/05/2004, §82.

82 გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №20, 2019 წლის 25 დეკემბერი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამის ქვეპროგრამების დამტკიცების შესახებ; (ქვეპროგრამის კოდი 06 02 15) ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4748139?publication=3>

83 2 ECtHR, Winterstein and Others v France, no. 27013/17, 17/10/2013, §148; Chapman v. United Kingdom, no. 27238/95, 18/01/2001, §99.

- **პარტნიორები, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა შექმნილი აქვთ ოჯახები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ისარგებლონ დახმარებით, რაც მათ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებთან შედარებით.**

მაგალითად, ამბროლაურის<sup>84</sup> მუნიციპალიტეტში ახლად შექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული სარგებლის მისაღებად, ბენეფიციარებმა ქორწინების მოწმობის ასლი უნდა წარადგინონ. ქვეპროგრამა ქორწინებაში, მათ შორის, ფაქტობრივი თანაცხოვრების დაწყებას გულისხმობს ქვეპროგრამის მოქმედების განმავლობაში; სენაკის<sup>85</sup> და ცაგერის<sup>86</sup> მუნიციპალიტეტში, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით სარგებლობისთვის, ბენეფიციარმა მერიაში ასევე უნდა წარადგინოს, მათ შორის, ქორწინების მოწმობის ასლები; ადიგენის<sup>87</sup> მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა სავალდებულო წესით ითვალისწინებს ქორწინების მოწმობის წარდგენას.

სახალხო დამცველის შეფასებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, ერთი მხრივ, ოჯახის შექმნა მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ქვეპროგრამა ქორწინებაში, მათ შორის, ფაქტობრივი თანაცხოვრების დაწყებას გულისხმობს; ხოლო, ადიგენის, სენაკის და ცაგერის მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის მოთხოვნა ასევე გაუმართლებელია, ვინაიდან მრავალშვილიანი ოჯახები, შესაძლებელია შეიქმნას ქორწინების გარეშე და ისინი თანაბარ მდგომარეობაში არიან რეგისტრირებულ ქორწინებაში შექმნილ მრავალშვილიან ოჯახებთან.

- **ზოგიერთი მუნიციპალიტეტი სოციალური დახმარების მისაღებად, სავალდებულო წესით მოითხოვს ორივე მეუღლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტს, რაც აღნიშნულ პირებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს იმ ოჯახებთან, რომელთაგან ორივე მეუღლე ამ მუნიციპალიტეტშია რეგისტრირებული**

მაგალითად, ამბროლაურის<sup>88</sup> მუნიციპალიტეტში ახლად შექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად, ორივე მეუღლე რეგისტრირებული უნდა იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის, ერთ-ერთი - მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსით; დედოფლისწყაროს<sup>89</sup> მუნიციპალიტეტში

84 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №32, 2019 წლის 25 დეკემბერი; „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“; მუხლი 17; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749012?publication=0>

85 სენაკის მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 02).

86 ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

87 ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №46. 2014 წლის 2 სექტემბერი. ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.

88 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №32, 2019 წლის 25 დეკემბერი; „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“; მუხლი 17; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749012?publication=0>

89 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №23; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახის დახმარების მისაღებად ორივე მშობელი ან მარტოხელა მშობელი რეგისტრირებული უნდა იყოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მსგავს წესს ითვალისწინებს, მათ შორის, სამტრედიის<sup>90</sup> მუნიციპალიტეტში, პირველი და მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადი დახმარების პროგრამა და თერჯოლის<sup>91</sup>, ფოთის<sup>92</sup>, ასპინძის<sup>93</sup> მუნიციპალიტეტში ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამაც.

სახალხო დამცველის შეფასებით, პრობლემურია დახმარების გაცემის ორივე მეუღლის რეგისტრაციის ფაქტთან დაკავშირება, ვინაიდან, შესაძლებელია, ერთ-ერთი მეუღლე სხვა მუნიციპალიტეტში იყოს რეგისტრირებული, თუმცა ფაქტობრივად ოჯახი შეიქმნას ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელ ადგილზე. ასეთ შემთხვევაში, ის ოჯახები, რომელთაგან ერთ-ერთი მეუღლე სხვა მუნიციპალიტეტშია რეგისტრირებული, უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფება იმ ოჯახებთან შედარებით, რომელთაგან ორივე ერთსა და იმავე მუნიციპალიტეტშია რეგისტრირებული. აღნიშნული რეგულაცია ფორმალური კრიტერიუმის დაწესებით, დაუსაბუთებლად აყენებს არსებითად თანასწორ პირებს უთანასწორო მდგომარეობაში.

## 7. მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის/ცხოვრების ხანგრძლივობა

ბუნებრივია, სოციალური პროგრამებით მოსარგებლეთა წრე განუსაზღვრელი ვერ იქნება, ვინაიდან, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეზღუდულნი არიან ბიუჯეტით მათთვის განსაზღვრული ფინანსური სახსრებით, თუმცა, შემუშავებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში სამიზნე ჯგუფების განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, რომ დისკრიმინაციული კრიტერიუმები თავიდან იქნას აცილებული და არსებითად თანასწორ პირებს თანაბარი წვდომა ჰქონდეთ შესაბამის სარგებელზე.

- **ზოგიერთ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ჯანდაცვის პროგრამა, მუნიციპალიტეტში ცხოვრებისა და რეგისტრაციის განსხვავებულ მოთხოვნას აწესებს**

მაგალითად, ქ. თბილისის<sup>94</sup> მუნიციპალიტეტში ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და, ამავე დროს, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ ერთი წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.<sup>95</sup>

90 სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2020 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ. 23/12/2019.

91 თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2020 წლის პროგრამა; მუხლი 3.

92 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29/31; 2019 წლის 25 დეკემბერი; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

93 ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი „მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ ხარჯვის ზოგადი წესი; მუხლი 4

94 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №52-10, 2020 წლის 24 იანვარი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ.

95 აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებიც, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად ქალაქი თბილისი უწერიათ.

ამასთან, თბილისში<sup>96</sup> ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის მოსარგებლებები არიან HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ფორმის ან HER-2 დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და, ამავე დროს, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.<sup>97</sup>

სახალხო დამცველისთვის გაუგებარია ჯანდაცვის სხვადასხვა ქვეპროგრამით სარგებლობისთვის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციისა და ცხოვრების ხანგრძლივობის განსხვავებული წესის დადგენა. თუკი ერთ შემთხვევაში 1-წლიანი ვადა განისაზღვრება, მუნიციპალიტეტთან საკმარისი კავშირის დასადასტურებლად, უფრო მაღალი, ორწლიანი ვადის განსაზღვრა ჯანმრთელობის სხვა პრობლემის მქონე პირებისთვის, დაუსაბუთებელია.

- **პრობლემატურია მუნიციპალიტეტთან საკმარისი კავშირის დასადასტურებლად სოციალური და ჯანდაცვის ბენეფიტების მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების უწყვეტობის მოთხოვნა**

მაგალითად, ბორჯომის<sup>98</sup> მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მოსარგებლეა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად მცხოვრები მოქალაქე.

სახალხო დამცველის შეფასებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტი უკვე ადასტურებს მუნიციპალიტეტთან საკმარის კავშირს და დამატებით ცხოვრების უწყვეტობის მოთხოვნის დაწესება გაუმართლებელია. ვინაიდან, შესაძლებელია, ასეთი ბენეფიციარი საერთოდ გამოირიცხოს დახმარების მიმღებ პირთაგან არა მხოლოდ იმ მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამებიდან, რომელშიც ის რეგისტრირებულია, არამედ, შესაძლოა, ვერც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეძლოს მსგავსი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა.

96 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №52-10, 2020 წლის 24 იანვარი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ.

97 აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლებები არიან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებიც, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად ქალაქი თბილისი უწერიათ.

98 ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №96, 27 დეკემბერი 2019 წ. ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2020 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 17.



## 8. დაბადების ადგილი

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები ყურადღებას ამახვილებს ბენეფიციარის მუნიციპალიტეტთან საკმარისი კავშირის არსებობაზე, თუმცა, რიგი კრიტერიუმების გამოყენება ხსენებული მიზნების მისაღწევად გაუმართლებელია.

- **ზოგიერთი სოციალური პროგრამა, სოციალური სარგებლის მიღებას დაბადების ადგილს უკავშირებს**

მაგალითად, ბათუმის<sup>99</sup> მუნიციპალიტეტში ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენციისა და რეაბილიტაციის პროგრამით, ფინანსდება ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა.

სახალხო დამცველის შეფასებით, გაუგებარია ბავშვის დაბადების ადგილთან ჯანდაცვის პროგრამის დაკავშირება, მაშინ როდესაც, შესაძლებელია, ბავშვი სხვა მუნიციპალიტეტში დაიბადოს, თუმცა, ოჯახი, და უშუალოდ ბენეფიციარიც, სწორედ ბათუმის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდეს და იყოს რეგისტრირებული.

## 9. პროგრამის დეტალიზებული ხასიათი

- **მუნიციპალიტეტების დონეზე არსებული სოციალური პროგრამების ანალიზის საფუძველზე, აღსანიშნავია მოცემული პროგრამების დეტალიზებული ხასიათი, რომელმაც, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, სხვა, მსგავსი საჭიროების მქონე ადამიანები სოციალური, თუ ჯანდაცვის პროგრამების მიღმა დატოვოს**

მაგალითად, გარდაბნის<sup>100</sup> მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები: დაუნის სინდრომის მქონე, ცერებრული დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, აუტისტიური სპექტრის მქონე 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, ლეიკემიით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები, ეტლით მოსარგებლეები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები, მეტყველება და სმენადაქვეითებული პირები. ანალოგიურად ლენტეხის<sup>101</sup> არსებული ქვეპროგრამა, მართალია, ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, თუმცა აღნიშნულ ქვეპროგრამაში ამომწურავად არის ჩამოთვლილი კონკრეტული შეზღუდვების მქონე პირები, და ყურადღების მიღმა ტოვებს სხვა შეზღუდვების მქონე პირებს.

99 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №35 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. 2019 წლის 25 დეკემბერი; (პროგრამული კოდი 06 01 09); ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749146?publication=1>

100 გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №20 2019 წლის 25 დეკემბერი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამის ქვეპროგრამების დამტკიცების შესახებ; ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749012?publication=0>

101 ლენტეხის მუნიციპალიტეტის დადგენილება N1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.31/01/2020 “მუხლი 5.

ბუნებრივია, მნიშვნელოვანია მითითებულ პირთა დახმარების საკითხი, თუმცა, გარდა ჩამოთვლილი პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისა, შესაძლოა, მუნიციპალიტეტში სხვა შეზღუდვებისა თუ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებიც იყვნენ, რომლებიც ასევე საჭიროებდნენ დახმარებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სოციალური პროგრამების მოქნილობა, რათა გამოირიცხოს არსებითად თანასწორი რომელიმე ჯგუფის ინტერესის შელახვა.

- **ზოგიერთი პროგრამა ითვალისწინებს მგზავრობის ხარჯების დაფარვას კონკრეტული დაავადების მქონე პირებისთვის, თუმცა ყურადღების მიღმა ტოვებს იმავე საჭიროების, თუმცა, სხვა დაავადებების მქონე ადამიანებს**

მაგალითად, ვანის,<sup>102</sup> ლაგოდეხის<sup>103</sup> მუნიციპალიტეტების სოციალური პროგრამები ითვალისწინებს ფინანსურ დახმარებას დიალიზის სახელმწიფო პროგრამაზე მყოფ მოქალაქეთა მგზავრობის ღირებულებისა (რაიონიდან სამედიცინო დაწესებულებამდე) და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად. ასევე, მაგალითად, ახალქალაქის<sup>104</sup> და კასპის<sup>105</sup> მუნიციპალიტეტებში გათვალისწინებულია ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექციის დაფინანსება.

ბუნებრივია, აღნიშნული დახმარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფისთვის და სახალხო დამცველი დადებითად აფასებს მათი საჭიროებების სოციალურ პროგრამებში გათვალისწინებას. თუმცა, მგზავრობის ხარჯების თუ მედიკამენტების დაფინანსების საჭიროების წინაშე, შესაძლოა, აღმოჩნდნენ სხვა ადამიანებიც, რომელთაც სხვა დაავადებები აქვთ და მათთვის მსგავსი დახმარების გაუთვალისწინებლობა დაუსაბუთებლად აყენებს მათ უთანასწორო მდგომარეობაში, არსებითად თანასწორ პირებთან შედარებით.

## 10. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით დაცული ადამიანის ღირსება, მჭიდროდ უკავშირდება სათანადო ცხოვრების დონის არსებობას. სათანადო ცხოვრების დონის უზრუნველყოფა კი, დაუცველი ჯგუფებისათვის, შეიძლება სხვადასხვა მატერიალური, სოციალური დახმარების აღმოჩენით, რაც პიროვნების კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს. კონსტიტუციის მე-11 მუხლით კი გარანტირებულია თანასწორობის უფლება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი აკონკრეტებს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის, მე-4 პუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის.

102 ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №30, ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ; 2019 წლის 25 დეკემბერი.

103 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №26 2019 წლის 27 დეკემბერი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2020 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4755635?publication=0>

104 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №29, 2019 წლის 17 დეკემბერი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737195?publication=0>

105 კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №26; 2019 წლის 20 დეკემბერი; კასპის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლით დადგენილია, რომ მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით. ხსენებული პაქტის მე-19 ზოგად კომენტარში<sup>106</sup> აღნიშნულია, რომ სოციალური დაცვის უფლება მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: სოციალური დაზღვევისა და სოციალური დახმარების სქემებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს გადასახადების მობილიზებისა და ამოღების გზით შექმნილი დოვლათის საჭიროებისამებრ განაწილებას დაუცველ და სოციალური საჭიროების მქონე ჯგუფებზე. ასევე, პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და საცხოვრებელი ბინა. ამასთან, ჯანმრთელობის უფლების რეალიზება გულისხმობს, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება, ხელი მიუწვდებოდეს ჯანდაცვის სერვისებზე,<sup>107</sup> რაც, მათ შორის, ეკონომიკურ ხელმისაწვდომობასაც გულისხმობს.<sup>108</sup> ეს უფლება თავის თავში მოიაზრებს ინდივიდის უფლებას, რომ მოხდეს მისი დაავადების პრევენცია, მკურნალობა და კონტროლი.<sup>109</sup>

სახალხო დამცველის შეფასებით, 2020 წლის განმავლობაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის კუთხით, არაერთ ხარვეზს შეიცავს. აღნიშნული პროგრამების შეფასებისას გამოიკვეთა ისეთი პრობლემური საკითხები, როგორცაა დისკრიმინაციის წამახალისებელი კრიტერიუმების და ტერმინების გამოყენების პრაქტიკა; სქესის ნიშნით დისკრიმინაციული კრიტერიუმების არსებობა; ასაკის, ქორწინების სტატუსის/რეგისტრაციის მოთხოვნის კუთხით უთანასწორო რეგულაციები; ანგარიშში ასევე იყო მიმოხილული დაბადების ადგილის, როგორც სოციალური და ჯანდაცვის სარგებლის მიღების წინაპირობის და ზოგიერთი პროგრამის დეტალიზებული ხასიათის პრობლემურობა; ასევე, შეფასდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებში გამოკვეთილი ხარვეზები და ჯანდაცვის პროგრამებზე მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირების ხელმიუწვდომლობის საკითხი.

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების თანასწორობის პრინციპთან მისადაგების მიზნით, სახალხო დამცველმა თვითმმართველობის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიმართ შეიმუშავა რეკომენდაციები.

106 General Comment No. 19; The right to social security (Art.9 of the Covenant) ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.refworld.org/docid/47b17b5b39c.html>

107 Office of High Commissioner for Human Rights (OHCHR), Right to Health, Fact sheet no. 31, გვ. 5, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf>

108 Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 14 (2000), The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, E/C. 12/2000/4, 11/08/2000.

109 OHCHR, Right to Health, Fact sheet no. 31, გვ. 3.

## რეკომენდაციები

- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შემუშავებისას არ გამოიყენონ დისკრიმინაციის წამახალისებელი კრიტერიუმები/ტერმინოლოგია
- აღმოფხვრას სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში სქესის ნიშნით დისკრიმინაციული კრიტერიუმების დაწესების პრაქტიკა
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შემუშავდეს ხარისხიანი, ადეკვატური, მისაღები და ადაპტირებული სოციალური დაცვის პროგრამები, რაც შექმნის მათი საჭიროებების ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასების შესაძლებლობას
- შესაძლებლობის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამები წარიმართოს ამ პირთა უფლებების დაცვის სოციალური მოდელის თანახმად
- სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში, ამავე პროგრამებით უკვე მიღწეული შედეგის ეფექტიანობის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად, აღმოფხვრას ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული რეგულაციების არსებობის პრაქტიკა
- სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირების საჭიროებები და გადაიხედოს ამ პროგრამებზე მათი წვდომის საკითხი
- სოციალური პროგრამების შემუშავებისას გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დაუცველი ჯგუფის რეალური გაძლიერების კრიტერიუმი
- ოჯახის კეთილდღეობის მიზნით შექმნილი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები მოერგოს ფაქტობრივად შექმნილი და არსებული ოჯახების საჭიროებებს
- მუნიციპალიტეტთან საკმარისი კავშირის დასადგენად, მუნიციპალიტეტში დაბადების, რეგისტრაციის/ცხოვრების ხანგრძლივობის კრიტერიუმი დასაბუთდეს და ამ ფორმალური მოთხოვნის საფუძველზე, არ ჩამოყალიბდეს დისკრიმინაციული პრაქტიკა
- შემუშავდეს მოქნილი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, რათა რეალური ინდივიდუალური საჭიროების მქონე პირები არ დარჩნენ სარგებელს მიღმა
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, იმისათვის, რათა მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების რეალურ საჭიროებებს ასახავდეს და არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, თითოეულ მუნიციპალიტეტში შემუშავდეს ადგილობრივი საჭიროებების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე.



